

საქართველო

პირველი თვეისუფლები გვით — პირველი თვეისუფლები


პირველი თვეისუფლები გვით — პირველი თვეისუფლები

პირველი
თვეისუფლები

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
გაზეთი

№ 5 (10)

12 III 1990



1990 წლის 9 მარტს შესდგა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო, რიგგარეშე სესია, რომელმაც მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ, აცხადებს „უკანონოდ და ბათილად“ 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოქალაქო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, ამოწმებს ამ ხელშეკრულების ყველა პუნქტს, აცხადებს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთავრობის უფლებას განაგრძოს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. ყოველივე იმპორტულიდან გამომდინარე უზენაეს საბჭოს აუცილებლად მიიჩნია „დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია“. დადგენილების სწორედ ეს ნაწილი განსაზღვრავს მის ისტორიულ მნიშვნელობას. უნდა აღინიშნოს, რომ რიგგარეშე სესიის მოწვევა განაპირობა საქართველოს სახალხო ფრონტის ინიციატივით ჩატარებულმა პოლიტიკურმა აქციებმა. როგორც ცნობილია, სსრკ სახალხო დემუტატთა რიგგარეშე მე-3 ყრილობამ უნდა დაამტკიცოს საპრეზიდენტო მმართველობის ინსტიტუტი, რომელიც უდიდეს დაბრკოლებებს შეუქმნის რესპუბლიკებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. სწორედ ეს ფაქტი გახდა საბაბი იმ საპროტესტო მიტინგებისა, რომლებიც მიმდინარეობდა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 7-9 მარტს. სახალხო ფრონტის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა უზენაესი საბჭოს დემუტატების ხელმოწერების შეგროვება საგანგებო სესიის მოწვევის მოთხოვნით და მიუხედავად ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების „ინერტულობისა“, მაინც მოხერხდა საგანგებო სესიაზე დემუტატების შეკრება. სესიის მოწვევის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე „წმინდა ქეთი-წამებულის“ საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც 8 მარტს შიმშილობა გამოაცხადეს მთავრობის სახლის კიბეებზე; დადგენილების ტექსტის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი ითამაშა, ასევე, სახალხო ფრონტის ეროვნულ-ლიბერალური კავშირის, საზოგადოება „დასის“, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წარმომადგენელთა საინიციატივო ნინადადებმა. საპროტესტო მიტინგებზე სიტყვით გამოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლობას წარმოადგენს უზენაესი საბჭოს ამ დადგენილების არა მარტო სსრკ დემუტატთა წრილობაზე განცხადება, არამედ მისი ასლების გაგზავნა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციასა და ევროპარლამენტში. ზურაბ მანგიშის ფოტო.

საქართველოს სახალხო ფრონტის საპრეზიდენტო მიმართვა ქართველი ხალხისადმი

დღეს საქართველო სამკვდრო-სასიცოცხლო განსაცდელშია. ჩვენ გვპირდება თავდაუზოგავი ბრძოლა მის გადარჩენისათვის. თუ არ ვივარგებთ, ან შეგვეშლება, მაშინ ჩვენი ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაღრმავდება, ჩვენი ეროვნული უფლებები კიდევ უფრო შეიზღუდება, ვიდრე დღეს არის, ჩვენი ეკონომიკური გაჯირგება კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი ბუნებაც კი კიდევ უფრო უწყალოდ განადგურდება, ვიდრე დღეს, მაგნი წარმოებებით მოიწამლება და საბჭოთა კავშირის ქიმიური ნარჩენების სანაგვედ იქცევა.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნისა და შთამომავლობის გადარჩენისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გზა (ხალხ ვუსვამთ ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზა) არის საპარლამენტო ბრძოლის გზა. საქართველოს ისე სჭირდება დღეს ერთგული უზენაესი საბჭო, როგორც პარტი.

რით არის სახიფათო დღეს ჩვენთვის ორგული პარლამენტი, — კომპარტიისა და მთავრობის მორჩილი უზენაესი საბჭო — როგორიც ადრე გველია?

ჭერ ერთი, იმით, რომ მორჩილი უზენაესი საბჭო კიდევ ერთხელ შეიყვანს საქართველოს იმ ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო ხელშეკრულებაში“, რომლის ძალითაც საქართველო 1922 წელს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ნაწილი, ანუ ახალი რუსეთის ერთ-ერთი ნაწილი, ანუ ახალი რუსეთის ერთ-ერთი კოლონია გახდა. საბჭოთა მთავრობას უნდა 1922 წლის ამ კაბალური ხელშეკრულების განახლება, რათა მასში ჩართოს ბალტიისპირა ქვეყნებიც, რომლებიც 1922 წელს სსრკ შემადგენლობაში ჯერ კიდევ არ შედიოდნენ. საბჭოთა მთავრობას უნდა, იმ მომენტებში დემოკრატიის პირობებში, რომლებიც დღეს გვაქვს, კიდევ ერთხელ შეაყოფინოს საქართველოს თავი საკავშირო ყულფში და ეს აქტი ქართველი ხალხის ნების

თავისუფალ გამოვლინებად გამოაცხადოს. მორჩილი, უპრინციპო პარლამენტი მორჩილად შეუსრულებს კრემლს ამ სურვილს. მხოლოდ გამბედავი და ბრძენი პარლამენტი შეძლებს იმპერიის ამ გეგმის ჩაშლას, ახალ სამოქალაქო ხელშეკრულებაზე უარის თქმას.

მეორეც, არავისთვისაა საიდუმლო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ახორციელებს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის განუხრელ გაუარესებას მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა თანდათანობითი შეზღუდვის გზით. ყველას გვახსოვს, რომ 1988 წლის შემოდგომაზე კრემლმა განსაზღვრული ჰქონდა, სსრკ კონსტიტუციის 108-ე მუხლის ცვლილებით საქართველოსათვის წაერთმია სსრკ შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლება, ანუ მისი კოლონიური მდგომარეობა დეკანონებინა, და 119-ე მუხლით სსრკ მთავრობისათვის უფლება მიეცა, სურვილისამებრ შემოეყვანოს ჩარი რესპუბლიკაში, საჩხედრო მდგომარეობა გამოაცხადოს და ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედება დაიწყოს, როგორც ეს 9 აპრილს მოხდა კიდეც. მხოლოდ ქართველი ხალხის ერთსულოვანმა პროტესტმა თბილისში და ბალტიისპირა რესპუბლიკების ერთსულოვანმა პროტესტმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყნები კოლონიური უღლის ამ დაკანონებას. ახლა სსრკ უზენაესი საბჭომ მიიღო ახალი კანონი მიწის შენახება, რომლის ძალითაც საქართველოს მიწა საქართველოს აღარ უნდა

ეკუთვნოდეს, და ცდილობს მიაღწიოს კანონის აღიარებას საქართველოს მიერ. ორგული და მორჩილი უზენაესი საბჭო კვერს დაუტარეს ამ კანონსაც.

მესამეც, მორჩილი და უპრინციპო უზენაესი საბჭო მუდამ ზმას მისცემს ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმ პირობებების დანიშვნას, ვისაც უბრძანებენ, და იგი მოკლებული იქნება ამ თანამდებობის პირთა კონტროლის საშუალებას. მოვესტეგებით, დღეს მოსკოვის მთავრობა საქართველოში ნიშნავს და თანამდებობაზე ამტკიცებს უმრავლეს შემთხვევაში ისეთ პიროვნებებს, რომლებიც, მისი აზრით, მზად არიან საქართველოს ინტერესები დათმონ, სამაგიეროდ კი მათ გასუქიანები და უზორო მხვეჭლობის შესაძლებლობას აძლევს. თუ უზენაესი საბჭომ თანამდებობაზე ღირსეული და ერთგული პიროვნებები არ დანიშნა, ხოლო უღირსებს ლაგამი არ ამოსდო, საქართველოში გაღრმავდება და გაღრმავდება კორუფცია და მეჭურთამეობა, უსამართლობა და სიღატაკე.

რას მოგვცემს საქართველოს ერთგული უზენაესი საბჭო?

ჭერ ერთი, მას შეუძლია აღარ შეიყვანოს საქართველო ახალ სამოქალაქო ხელშეკრულებაში, ანუ ხელმეორედ აღარ გააყოფინოს საქართველოს თავი იმ კოლონიურ ყულფში, რომელშიც იგი დღეს არის. უზენაესი საბჭო ხალხის ნების თემცა არასრულყოფილი, მაგრამ მაინც ორ-

ზე მეტი იქნა გაწვეული საბჭოთა არმიის და პროცენტულად ყველაზე მეტიც დაიღუპა ბრძოლის ველზე: 300000 კაცზე მეტი, მიუხედავად ამისა, ომის დროსაც კი ქართული დივიზია არსებობდა — მართალია, სანახევროდ რუსებისაგან შემდგარი და რუსულენოვანი, მაგრამ მაინც ქართველი სარდლის მყოფი და სახელად ქართული. 1956 წლის ზაფხულში ქართული დივიზია დაშალეს და ექვემდებარეს არსებობს, რომ იმ წლის 9 მარტის ზეგრება, სხვა მოტივებთან ერთად, იმისთვისაც იყო მოწყობილი ხელისუფალთა მიერ, რომ ეროვნული ნაწილების გაუქმების საბაბი მოეპოვებინათ (რადგან ქართული დივიზია მზად იყო, ქართველი ხალხის სიცოცხლე დაეცვა, და საქმე კინაღამ ამ დივიზიის შეიარაღებულ განმოსვლაზე მივიდა). მას შემდეგ საქართველო უიარაღოა როგორც გარედან თავდასხმების, ისე შინაგან შეიარაღებული ბრძოლის წინაშე, მან თავისი დაცვა მხოლოდ სხვას — რუსსა და „შინაგან ნაწილებს“ უნდა სთხოვოს. რა „დაცვის“ იმედი შეიძლება გეჭონდეს ამთავან, ყველაზე ვიცი. ისიც ვიცი, რომ რუსულ არმიამ დღეს ქართველ ჯარისკაცებს აწამებენ და კლავენ მათი ეროვნების გამო.

ერთგული პარლამენტი შეუძლია საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანოს მარტივი და წმინდათაწმინდა სიტყვები: „საქართველოს დაცვა საქართველოს ყველა მოქალაქის ან „საქართველოს ყველა მოქალაქის“ წმინდათაწმინდა მოვალეობაა“ და „საქართველოს სამხედრო შენაერთები ექვემდებარება საქართველოს საბჭოს. მათი გაყვანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ მოხდება საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის ნებართვის გარეშე“.

(დასასრული მე-8 გვ.)

ამა წლის 24 თებერვალს მოსკოვიდან ტელეფონით დამიკავშირდა ჩეხოსლოვაკიის საელჩოს წარმომადგენელი და მამცხო, რომ მოსკოვის ოფიციალური ვიზიტად ჩამოდიხ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, რომელიც მეტატივება მიღებაზე 26 თებერვლისათვის. მე დიდი მადლობა მოვასხენე საელჩოს ამ პატივისთვის, მაგრამ განვუმატრე, რომ მე ჯერჯერობით, ფაქტობრივად პატიმარი ვარ, ჩემს წინააღმდეგ 9 აპრილს აღძრული საქმე ისევ გრძელდება და ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილის გამო ალბათ გამიჭირდება-მეთქი მოსკოვს ჩამოსვლა. სამაგიეროდ ჰელსინკის კავშირის სხვა წევრი ჩამოვი მოსკოვს და ჩამოვთან-მეთქი ჩვენი ორგანიზაციების მიაშროვებს ჰელსინკის თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობებისადმი და აგრეთვე კერძო მიმართავს პრეზიდენტისადმი.

26 თებერვალს დილით დავურეკე რესპუბლიკის პროკურორის ბან ვახტანგ რაზმაძეს და ვამცხე მოსკოვში ჩემი მიწვევის შესახებ. თანაც შევთავაზე, ჩემთვის, როგორც თავლებში გამოშვებული პატიმრისათვის, მოსკოვში ბარდავად გაეყოლებინა ორთქალის ციხის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც წამოყვანილნი და უკანვე ჩამოიყვანდნენ.

შეგატყე, ბან ვახტანგ მაინცდამაინც არ ესიამოვნა ასეთი წინადადება და იუმორის ტონში მითხრა: ჰო, მაგრამ თქვენი საქმე, რამდენადც ვიცო, გაუქმებულია. შემდეგ დასძინა: ეს ესაა უნდა ჩამოფრინდეს საკავშირო პროკურორის მოადგილე, მე უნდა დავხვედო აეროპორტში, ყველაფერს დავაზუსტებ და წერილს გამოგიგზავნი.

დღის 3 საათზე მართლაც მივიღე წერილი, სადაც რესპუბლიკის პროკურატურა მატყობინებდა, რომ ჩემი და სხვათა საქმე, ა. წ. 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით აღძრული, გაუქმებულია მე-6 მუხლის მიხედვით, „ვიზიტების შეცვლასთან“ დაკავშირებით. მანამდე, დილით, მოსკოვს უკვე გადრინდა გიორგი ხოშტარია, ჩვენი კავშირის წევრი, რომელმაც წაიღო ჩემი შემდეგი მიმართვა პრეზიდენტისადმი:

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს

ბან ვაცლავ ჰაველს

ღრმად პატივცემული ბან პრეზიდენტო! მსურს გამოვხატო თქვენადმი გულწრფელი მადლიერება იმ პატივისათვის, რომელიც დამდეხეთ. 26 თებერვალს, მოსკოვში თქვენი ვიზიტის დროს, მიღებაზე მიწვევით. სამწუხაროდ, მდგომარეობა ნებას არ მამძღვრებ, დავტოვო მშობლიური ქალაქი, რადგან ჩემი და ჩემი ზოგიერთი მეგობრის წინააღმდეგ, 1989 წლის 9 აპრილს, მიტინგისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისათვის აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დღემდე გრძელდება და ჩვენ არა გვაქვს ქალაქის დარტყვის უფლება (თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე ხანდახან ოფიციალური ნებართვის გარეშეც ვმოგზაურობ). მაგრამ მოსკოვში ჩამოსვლა ჩემთვის ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. აი, რა მოგვიტანა ჩვენ „პრესტატოკამ“.

ჩვენ, საქართველოს სამართალდამცველები, ყოველთვის ხოლიდართვას ვუწევდით ჩეხოსლოვაკიის სამართალდამცველებს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„პრაჰის გაზაფხული“, როგორც ყველა დამონებული ხალხისათვის, საქართველოსთვისაც გაზაფხული იყო, ხოლო ავგოსტო საქართველოსთვის ისეთივე სამკაფიარო იყო, როგორც თქვენი ქვეყნისათვის. ჩვენი ორგანიზაციებიც თითქმის ერთდროულად წარმოიშვნენ: საქართველოში „მელნიკი-76“, პრაჰაში კი — „ქარტა-77“. ჩვენი მიზნები საერთოა, ბრძოლა — საერთო. ჩვენი მიზანია: ყველა ხალხის თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა.

პირადად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში ყოველთვის დიდი სიუჟარულია და პატივისცემით სარგებლობდით, ჩვენ ყოველთვის გგულშემატკივრობდით თქვენ, თქვენთან ერთად განვიცდიდით და ვიტანჯებოდით, ვწეიშობდით, როდესაც თქვენ გამოვარჯიშეთ, როდესაც თქვენი გმირი ხალხის სამართლიანობა საქმეში გაიმარჯვა.

გიგზავნით ჩვენი ორგანიზაციების მიმართვას ჰელსინკის თათბირის მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი, რომელშიც გაცხადებულია ჩვენი ორგანიზაციების პოზიცია * და გთხოვთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის კანონიერი უფლებების აღიარებისათვის შემწეობას. აგრეთვე გთხოვთ, მიიღოთ ზომები, რათა სხვა ქვეყნების მთავრობის მეთაურებიც გაეცნონ აღნიშნულ მიმართვას.

ჩვენი მოძრაობის სახელით გთხოვთ, როდესაც შესაძლებლობა გექნებათ, ერთი დღით მაინც მოინახულოთ საქართველო — ეს იქნება ზეიმი მთელი ჩვენი ხალხისთვის!

უღრმესი პატივისცემითა და მადლიერებით, გულწრფელად თქვენი ზვიად ბაშასხურდია

(საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე). 25 თებერვლი, 1990 წ.

სალამოს 5 საათზე უკვე თვითმფრინავში ვიყავი. შეხვედრა სალამოს 9 საათისათვის იყო

დანიშნული. მე რომ დარბაზში შევედი, გიორგი ხოშტარია აზერბაიჯანის სახლხო ფონტის წარმომადგენელს ესაუბრებოდა. მან დიდად თვალს არ უჯერებოდა. მე ყოველივე ავუსხენი და ამასობაში პრეზიდენტიც გამოჩნდა.

მიღებას ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის ოპოზიციური ძალთა წარმომადგენლები: მოსკოველები, უკრაინელები, ბალტიისპირელები, ერთი აზერბაიჯანელი, აგრეთვე ე. წ. საკავშირო დეპუტატები: სობჩაკი, ელცინი და სხვანი. მე და პრეზიდენტი პაველი ურთიერთს შორიდან ვიცნობდით, გვყავს საერთო მეგობრები, ჩეხოსლოვაკიის ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის „ქარტა-77“-ის წარმომადგენლები, რომლის ფუძემდებელიც არის თვითონ დღევანდელი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, მსოფლიოში ცნობილი დრამატურგი.

პრეზიდენტს გადავცეი ზემოხსენებული მიმართვა, რომელსაც შემდეგი პოსტ სკრიპტში გავუყვით: „ბან პრეზიდენტო! ა. წ. 26 თებერვალს წერილი მივიღე საქართველოს სსრ პროკურატურიდან საქმის გაუქმების თაობაზე. ამის გამო შეგძელი აქ ჩამოსვლა და თქვენს

ზვიად ბაშასხურდია

შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტთან

მიღებაზე დასწრება. ეს ყოველივე შედეგია თქვენი ვიზიტისა მოსკოვში. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ.

პრეზიდენტთან წარმადგინა მისმა თანამეგობრებმა, მას დიდად გაეხარა ჩემი საქმის გაუქმება და მითხრა: „შინაური პატიმრობა ჩემთვისაც კარგად ნაცნობი ამბავია“. როგორც ცნობილია, მან მრავალი წელი გაატარა ჩეხოსლოვაკიის ციხეებში დისიდენტური მოღვაწეობისათვის, უკანასკნელი ციხიდან იგი 1989 წლის 26 მაისს გაუთავისუფლებია!

ესეც სიმბოლური დამთხვევაა ალბათ. როგორც მთავრობის სხვა წევრებმა და ჩეხოსლოვაკიის ელჩმა მამცხეს, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პროტესტი განუცხადებია სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრისათვის ჩემს შინაური პატიმრობასთან დაკავშირებით, ალბათ ამის გამოც გადაწყდა საქმის შეწყვეტა ესოდენ ელვის სისწრაფით. ჩეხოსლოვაკიაში დღეს პოლიტიკური ცხოვრების დიდი გამოცდებზეა, მოქმედებს 40-მდე პარტია. ჩემს შეიქმნებაზე, თუ რომელი პარტიის წევრია ბან ვაცლავ ჰაველი, მათ მიმოიხილა, რომ იგი არც ერთი პარტიის წევრი არ არის, ვინაიდან ხალხის საერთო აზრით, პრეზიდენტი პარტიებზე მაღლა უნდა იდგეს. როგორც აღვნიშნე, იგი ერთადერთი სამართალდამცემი ორგანიზაციის, თავის მიერვე შექმნილი „ქარტა-77“-ის წევრია.

ჩემი მიმართვა ალგიქვი, როგორც მხარდაჭერა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ჩემი და სლოვაკი ხალხის ლიდერის მხრიდან. როგორც სჩანს, ვერ აღწევს მიზანს კრემლის პრაზავანდა სახლვარგარეთ, რომელიც ცდილობს საქართველო „მცირე იმპერიად“, „პატარა აგრების მზავრელოდ“ გამოაცხადოს, ხოლო ჩვენ „ტერორისტებად“, „ფაშისტებად“, „ანტიდემოკრატიებად“ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დანიშნულებისათვის გავრცელებულ კრემლს და სუჟა მხარს უჭერს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე.

მსოფლიო პრესის დახასიათებით, ბან ვაცლავ ჰაველი, თავისი დიდი მორალური ავტორიტეტის წყალობით, ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ფიგურაა დღევანდელ მსოფლიოში. აი, როგორ ახასიათებს მის მოღვაწეობას, მაგალითად, თებერვლის ნომერში გაზეთი „ვანგუარდ პოსტი“:

„დაპყრო რა ორი თვე პრეზიდენტის პოსტზე, ვაცლავ ჰაველი ჯერ კიდევ არ არის მთლად გარკვეული იმაში, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს პრეზიდენტი. პარასკევს მიცემულ ინტერვიუში შეიტყობავ — როცა იგი თვის ბოლოს მოსკოვში მიხილ გორბაჩოვს შეხვდება, იმედი აქვს თუ არა, რომ მოლაპარაკება ექნებათ უშუალოდ საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიელთა გამოყვანის გეგმის შესახებ — ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელმა გასცა სავეტოთ დამაჩერებელი პასუხი.“

რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება მოლაპარაკება საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ, — თქვა ჰაველმა, — და ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა მხარე სრულად გრძნობს ამას, როგორც ევროპაში სტაბილური მდგომარეობის

პირობას. და რაც უფრო მთავარია, ჩვენ კარგად გვეჩვენა ჯარების გაყვანის აუცილებლობა.“

ამასთან ერთად, როცა დასმული იყო შეკითხვა იმის თაობაზე, რომ მოსკოვში რამე შეთანხმებაზე მოაწერს თუ არა იგი ხელს, პაველი განერვიულდა. შეიძლება პრეზიდენტისგან არც უნდა მოველოდეთ პირდაპირ პასუხებს. იგი აკეთებს პაუზას, ეთათბირება თანამეგობრებს და შემდეგ პასუხობს: „მე არ ვიცი, რა შეიძლება ვუთხრა ჟურნალისტებს და რა არა. მე გამოუცდელი პრეზიდენტი ვარ“. მან შედარებით თავშეკავებულ ფორმულირებას მიმართა: „მე მსურს ვაწარმოო მართლა სერიოზული მოლაპარაკება“, — და მიმართა რა ჟურნალისტს, რომელიც მისგან ინტერვიუს იღებდა, შენიშნა მისცა მას, — „თქვენ გინდათ ახალი ამბები, ჩვენ კი გვინდა აქედან საბჭოთა ჯარების გაყვანა“.

პაველი, რომელიც ხელ ვაშინგტონში ჩამოდიხ პრეზიდენტ ბუშთან შესახვედრად, მაინც შეიძლება ჩაითვალოს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად. თუმცა, ამ 53 წლის პოლიტიკოს-დრამატურგმა არ დაკარგა სინდისი და მახვილსიტყვაობა, რითაც იგი გახდა ასეთი

ფინანსთა მინისტრის ჩივილზე. პაველმა თქვა: „ჩვენი ეკონომიკის გზა საბაზროსაკენ ყველასათვის ნათელია“. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ მრავალი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიადგინოთ ამ მიზანს. „მაღელ ჩვენ გვექნება მომავალი რეფორმების გრაფიკი“, — თქვა მან. აღნიშნა რა, რომ ახალი მთავრობა თავის მოვალეობას სულ ორი თვეა, რაც ასრულებს.

ქვეყნისადმი, რომელშიც მოქმედებენ ყოფილი კომუნისტები, პაველმა საინტერესო მიდგომა გამოავლინა. ტოტალიტარული მმართველობის მძიმე წლების დანაშაული მან მართლ კომუნისტებს კი არ დააკისრა, ჯარამდე მთელს მოსახლეობას. მან ეს მოსაზრება გამოთქვა ინტერვიუში, გამოიყენა რა დრამატურგის მკვერფიყველებისა და შორსმჭვრეტელობის უნარი.

„ტოტალიტარული სისტემის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ყველანი ჩართული ვიყავით მასში და ყველა იდამაშავე ვართ“, — თქვა მან.

სწორედ ამით განსხვავდება ტოტალიტარული სისტემა დემოკრატიისაგან. დემოკრატიის დროს არსებობს მკვეთრი ზღვარი მათ შორის, ვინც ძალით იპყრობს ხელისუფლებას და მათ შორის, ვინც უძლეობს და იძულებულია დამორჩილდეს. თუმცა ტოტალიტარული სისტემის არსი იმაშია, რომ იგი სპეციფიკურად აშუქებს თითოეული ადამიანის სულს“.

ეს პრობლემა, თქვა პაველმა, არ იყო უბრალოდ პრობლემა დამსმენთა ერთმანეთისადმი თვალთვალისა. ეს იყო უფრო რთული პროცესი. ნებაყოფლობით თავსმზავებული კონფლიქტისათვის.

ყველა მონაწილეობს არჩევნებში, საპირველმაისო დემონსტრაციებში, — თქვა პაველმა, — თითოეული პროფკავშირის წევრია. თითოეული მონაწილეობს უშუალოდ საწარმოო კრებებში და თითოეული გრძნობს ამას. ყველანი სეამენ, აღნიშნავენ რა ქალთა საერთაშორისო დღეს. ყველა იყენებს ფულს, თუმცა იციან, რომ ეს მხოლოდ ქალადის ნაგლეჯებია. ყველას აქვს პასპორტი ჩანაწერით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა“. თითოეული იძულებულია მოაქცეს ისე, ვითომ მხარს უჭერს სოციალისტურ გზას და არაფერ არ იცის, რა არის სოციალისტური გზა.

საქმე უბრალოდ პოლიტიურ დამსმენებში კი არ არის, თუმცა ჩვენ ისინი საქმოდ გვყავდა. საქმის არსი იმაშია. მე ვიტყვით, რომ საუბარია საზოგადოებრიობის ფართო, ხანგრძლივ დემოკრატიზაციას, რომელიც ჩვენთან ხდებოდა“.

შეფასა რა რევოლუცია, რომელმაც წელს აღმოსავლეთი ევროპა მოიცვა, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა მისაგები მიაგო რონალდ რეიგანის მიერ გატარებულ პოლიტიკის საბჭოთა კავშირზე ზემოქმედების შესახებ და მიხილ გორბაჩოვის საჯაროობას. მაგრამ რელიზ მიზეზს ის სხვაში ხედავს. „გადამწყვეტი ფაქტორი იყო ამ პროცესების ისტორიული გარდაუვალობა, — თქვა პაველმა, — ისტორიიდან ვიცით, რომ ადამიანი დიდხანს შეიძლება ჩაგრო, მაგრამ დგება დღე, როცა ეს მას ყელში ამოუვსა. მე ვფიქრობ, რომ ამაში გორბაჩოვის დიდი დამსახურებაა, რომელმაც გარდაქმნა დაიწყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ეს პროცესები ადრე თუ გვიან მის გარეშეც მოხდებოდა“.

პაველი ამტკიცებს, რომ რეგრესიის ყველაზე მწირი დღეებშიც კი სჭეროდა — კომუნისტური სისტემა აუცილებლად განიცდის კრახს და ჩეხოსლოვაკია გათავისუფლებს. „მე ვიცი, რომ ეს სისტემა დაირღვევა, მაგრამ არ ვიცი, როდის, — თქვა მან, — მე არ მგვინია, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა“.

მაგრამ რა აძლევდა ძალას პაველს, როცა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა უიმედო იყო? „მე არ შემიძლია იმედის გარეშე ცხოვრება“, — აღნიშნა მან.

კომუნისტური სატუსალოს ბნელეთში პოლიტიკატიმარი ვაცლავ ჰაველი ყოველთვის სჭვრეტდა ნათელ მომავალს, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას. დღეს ჩვენ, იმეგზავნა ჩვენი სალონი მეოფთ, მან მოგვეცა იმედის სხივი ჩვენი სამართლიანი ბრძოლისათვის სოლიდარობის გამოცხადებით.

თით ეს საკამათო გზით, როცა შეგვეძლო გავავითოთ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით?“.

დღეს პრაჰაში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, პაველი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის მიერ პრეზიდენტად დანიშნა გასული წლის დეკემბერში, იყრის თუ არა კენჭს პრეზიდენტის პოსტზე მომავალ არჩევნებში, რომელიც გაიმართება წელს, ივნისში. მან თქვა: „მე არ ვფიქრობ, რომ ერთადერთი პიროვნება ვარ, რომელსაც შეუძლია კენჭის ყრა ამ პოსტზე. ერთ ადამიანზე დამოკიდებული დემოკრატია, ნამდვილად უცნაური დემოკრატია იქნებოდა...“ თუმცა რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, თქვა მან, „მე მზად ვიქნებოდი დავთანხმებოდი ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე და ამ პოსტის დაკავებაზე, თუ ჩავთვლი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ერთადერთი გამოსავალია“.

ადრე მიცემულ ცალკე ინტერვიუში ვაცლავ ჰაველმა, ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა, აღიარა, რომ გადამჭრელი საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გატარებისას, რასაც იგი აუცილებლობად მიიჩნევს, სიმეულებს აწყდება მთავრობის ზოგიერთი წევრისა და თვით პრეზიდენტის მხრიდანაც.

ფინანსთა მინისტრის ჩივილზე. პაველმა თქვა: „ჩვენი ეკონომიკის გზა საბაზროსაკენ ყველასათვის ნათელია“. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ მრავალი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიადგინოთ ამ მიზანს. „მაღელ ჩვენ გვექნება მომავალი რეფორმების გრაფიკი“, — თქვა მან. აღნიშნა რა, რომ ახალი მთავრობა თავის მოვალეობას სულ ორი თვეა, რაც ასრულებს.

ქვეყნისადმი, რომელშიც მოქმედებენ ყოფილი კომუნისტები, პაველმა საინტერესო მიდგომა გამოავლინა. ტოტალიტარული მმართველობის მძიმე წლების დანაშაული მან მართლ კომუნისტებს კი არ დააკისრა, ჯარამდე მთელს მოსახლეობას. მან ეს მოსაზრება გამოთქვა ინტერვიუში, გამოიყენა რა დრამატურგის მკვერფიყველებისა და შორსმჭვრეტელობის უნარი.

„ტოტალიტარული სისტემის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ყველანი ჩართული ვიყავით მასში და ყველა იდამაშავე ვართ“, — თქვა მან.

სწორედ ამით განსხვავდება ტოტალიტარული სისტემა დემოკრატიისაგან. დემოკრატიის დროს არსებობს მკვეთრი ზღვარი მათ შორის, ვინც ძალით იპყრობს ხელისუფლებას და მათ შორის, ვინც უძლეობს და იძულებულია დამორჩილდეს. თუმცა ტოტალიტარული სისტემის არსი იმაშია, რომ იგი სპეციფიკურად აშუქებს თითოეული ადამიანის სულს“.

ეს პრობლემა, თქვა პაველმა, არ იყო უბრალოდ პრობლემა დამსმენთა ერთმანეთისადმი თვალთვალისა. ეს იყო უფრო რთული პროცესი. ნებაყოფლობით თავსმზავებული კონფლიქტისათვის.

ყველა მონაწილეობს არჩევნებში, საპირველმაისო დემონსტრაციებში, — თქვა პაველმა, — თითოეული პროფკავშირის წევრია. თითოეული მონაწილეობს უშუალოდ საწარმოო კრებებში და თითოეული გრძნობს ამას. ყველანი სეამენ, აღნიშნავენ რა ქალთა საერთაშორისო დღეს. ყველა იყენებს ფულს, თუმცა იციან, რომ ეს მხოლოდ ქალადის ნაგლეჯებია. ყველას აქვს პასპორტი ჩანაწერით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა“. თითოეული იძულებულია მოაქცეს ისე, ვითომ მხარს უჭერს სოციალისტურ გზას და არაფერ არ იცის, რა არის სოციალისტური გზა.

საქმე უბრალოდ პოლიტიურ დამსმენებში კი არ არის, თუმცა ჩვენ ისინი საქმოდ გვყავდა. საქმის არსი იმაშია. მე ვიტყვით, რომ საუბარია საზოგადოებრიობის ფართო, ხანგრძლივ დემოკრატიზაციას, რომელიც ჩვენთან ხდებოდა“.

შეფასა რა რევოლუცია, რომელმაც წელს აღმოსავლეთი ევროპა მოიცვა, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა მისაგები მიაგო რონალდ რეიგანის მიერ გატარებულ პოლიტიკის საბჭოთა კავშირზე ზემოქმედების შესახებ და მიხილ გორბაჩოვის საჯაროობას. მაგრამ რელიზ მიზეზს ის სხვაში ხედავს. „გადამწყვეტი ფაქტორი იყო ამ პროცესების ისტორიული გარდაუვალობა, — თქვა პაველმა, — ისტორიიდან ვიცით, რომ ადამიანი დიდხანს შეიძლება ჩაგრო, მაგრამ დგება დღე, როცა ეს მას ყელში ამოუვსა. მე ვფიქრობ, რომ ამაში გორბაჩოვის დიდი დამსახურებაა, რომელმაც გარდაქმნა დაიწყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ეს პროცესები ადრე თუ გვიან მის გარეშეც მოხდებოდა“.

პაველი ამტკიცებს, რომ რეგრესიის ყველაზე მწირი დღეებშიც კი სჭეროდა — კომუნისტური სისტემა აუცილებლად განიცდის კრახს და ჩეხოსლოვაკია გათავისუფლებს. „მე ვიცი, რომ ეს სისტემა დაირღვევა, მაგრამ არ ვიცი, როდის, — თქვა მან, — მე არ მგვინია, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა“.

მაგრამ რა აძლევდა ძალას პაველს, როცა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა უიმედო იყო? „მე არ შემიძლია იმედის გარეშე ცხოვრება“, — აღნიშნა მან.

კომუნისტური სატუსალოს ბნელეთში პოლიტიკატიმარი ვაცლავ ჰაველი ყოველთვის სჭვრეტდა ნათელ მომავალს, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას. დღეს ჩვენ, იმეგზავნა ჩვენი სალონი მეოფთ, მან მოგვეცა იმედის სხივი ჩვენი სამართლიანი ბრძოლისათვის სოლიდარობის გამოცხადებით.

მიმართვა

მოგვხსენებთ, რომ საქ. უზენაესმა საბჭომ იმ შემადგენლობითაა, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ იქნა არჩეული, ნამდვილად კი დანიშნული ხელისუფლება მიერ, მიიღო კანონი, რომლის თანახმად საქართველოს მიწა-წყალი საქართველოს საკუთრებაა. 1990 წლის 9 მარტს მან საქართველო დაუკარგო და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად აღიარა, ბათილად ცნო ყველა ის აქტები, რომელიც ძალიან საქართველო სსრკ შემადგენლობაში იმყოფება და, ამგვარად, საქართველოს კოლონიურ მდგომარეობაში დარჩენის ყოველივე იურიდიული საფუძველი გამოაცალა. ამ უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო აქტის განხორციელების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი საერთო-ეროვნულ ადამიანობასთან ერთად. ისიც იყო, რომ ამ უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში აღმოჩნდა დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც სესიებზე არც გაუშვებდნენ და თემაზე არც დამარცხდებოდა მოწინააღმდეგეებთან კამათში. ამ რამდენიმე დღის წინ სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომელიც მიწის პატრონად აცხადებს არა იმ ერს, რომელსაც ქვეყანა ეკუთვნის, არამედ იმას, ვინც მასზე ცხოვრობს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს კანონი ხელყოფს ჩვენს საკუთრებას ჩვენს წმინდათაწმინდაზე, ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწაზე, და მას რუსული იმპერიის მიერ აქ უზნად ჩაისახლება უცხოელების კუთვნილებად აცხადებს. როგორც ვთქვით, სახელმწიფო ჩვენ საქართველოს კონსტიტუციაში უკვე მოგვეთვლება მუხლი, რომელიც ამ ხელყოფის საწინააღმდეგოდაა მიმართული და, ამგვარად, საშუალებას გვაძლევს, ამ ხელყოფისკენ მიმართული პრაქტიკული ღონისძიებები ცხოვრებაში არ გავატაროთ. დღეს ჩვენ სსრკ-სთან კონსტიტუციური კონფლიქტის ვითარებაში ვართ.

რეზიზი ვიშნოვიტო. ამ კონფლიქტში ყოფნა შეუარსებელსა და შეუწყვეტელ ბრძოლას მოითხოვს, რაც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ერთგულსა და მტკიცე უზენაეს საბჭოს შეუძლია.

მესამეც, საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა მიიღოს კანონი გრძელი რიგი, რომლებიც მოემსახურება ჩვენი ყოველივე იურიდიული და ჩვენი ეროვნული მდგომარეობის გაუმჯობესებას მანამდე, სანამ თავი სუფლებას მივადევნებთ. მაგალითად:

ა) კანონმდებლობითი წესით უნდა დადგინდეს, რომ საქართველოს ბედის ხელში აიღებისათვის უფლებამოსილ პარტიად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი პარტია, რომლის უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებისაგან შედგება. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრკ კონსტიტუციაში ამოღებულ იქნას მუხლი 6 და შემოიღებულ იქნას მუხლი, რომელიც აუქმებს საქართველოში სსრკ კონსტიტუციის მე-6 მუხლის მოქმედებას.

ბ) საბჭომ უნდა მიიღოს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი ადამიანისთვის სამშობლოს დაცვის მოვალეობა მხოლოდ საქართველოს დაცვის მოვალეობაა. ქართველი კაცი სამხედრო ვალდებულებას მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საქართველოს არმიაში უნდა იხდინოს. საბჭომ უნდა მიიღოს კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი დაქვემდებარებული ქართულენოვანი სამხედრო ფორმირებების შექმნისა და მათ მიერ საქართველოს წინაშე ფიცის მიღების შესახებ. საბჭომ უნდა დააკანონოს, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურის და ქართული სამხედრო ნაწილის საქართველოდან გაყვანის უფლება მხოლოდ საქართველოს უზენაეს საბჭოს აქვს.

გ) საბჭომ უნდა დაადგინოს, რომ საქ. სსრ წესრიგის დამცველ და სამართალდამცველ ორგანოებს არა აქვთ უფლება, საქართველოში დაბრუნებული პირის გაყვანის საქართველოს გარეთ სსრკ-ის მოსაღწევად.

დ) საბჭომ უნდა მიიღოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების, სამრეწველო და სატრანსპორტო ობიექტების და ყველა სხვა დანიშნულების ნაგებობების მიერ მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ და უფასოდ დაკავების აღკვეთის შესახებ. ნაკვეთის გადაცემა უკვე გაცემული ნაკვეთის ექსპლუატაციის გაგრძელება რომელიმე საქართველოსგარე უწყების ან დაწესებულების მიერ უნდა ხდებოდეს მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის სპეციალური გადაწყვეტილების თანახმად გარკვეული ვადით და გარკვეული ფასით, რომელიც ურთიერთშეთანხმებით დადგინდება. საქართველოს გზების გამოყენება სატრანსპორტო ტრანსპორტის მიერ აგრეთვე უნდა იყოს თანაირი და ეს ფასი მხარეთა თავისუფალი ურთიერთშეთანხმებით უნდა დადგინდეს.

ე) საბჭომ უნდა მიიღოს კანონი საქართველო დასაქავებელი რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და დაწესებულებათა საქართველოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ დიკლონაციის საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმების მიხედვით. გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქტიურად მონაწილეობდა სსრკ ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებაში, ცენტრალიზებული კაპიტალდამანდების ფორმირებაში, რომ ქართველი მუშები და სპეციალი-

სტები, აგრეთვე საქართველოდან აუტრაცელი რაოდენობით გაყვანილი პატიმრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა რესპუბლიკათა სახალხო-მეურნეობრივი ობიექტების მშენებლობაში; რომ საქართველოს ექსპორტის ძირითადი საგნების — მანგანუმის, სამთო ქიმიური ნედლეულის და სხვა — გატანა ხდებოდა არა ადგილობრივად დაბალ ფასებში. გათვალისწინებული უნდა იქნას უზარმაზარი ზიანი, რაც საქართველოს მიადგინა საქართველოს გარეთ დაგეგმილ სამრეწველო ობიექტთა აგებამ საქართველოს ტერიტორიაზე.

ვ) უნდა აღიკვეთოს საქართველოს ეკონომიკური „შეფოხნა“ რუსეთის არაზანაზიადიან ზოლზე — ეკონომიკური ძარცვისა და ეროვნული ასპირაციის უძლიერესი საშუალება.

ზ) საბჭომ უნდა განახორციელოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მიწისსარგებლობის პოლიტიკა და განსაზღვროს ერთიანი პრინციპები.

თ) უნდა დადგინდეს, რომ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მოხელეები ფიცს იღებდნენ საქართველოს წინაშე და ხელს აწერდნენ მის ტექსტს ქართულ ენაზე. ამ ხელისუფლების მხარეებზე პირთათვის სავალდებულო უნდა იყოს ქართული ენის დამაკმაყოფილებელი ფლობა (ქართული წერა-კითხვის ჩათვლით).

ი) ისეთი სამშუაოზე მყოფ ყველა პირს, ვისაც პროფესიული ურთიერთობა აქვს მოქალაქეებთან, უნდა მოეთხოვებოდეს ქართული ენის კომუნიკაციისათვის საკმარისი ცოდნა.

კ) შემოღებულ უნდა იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მოსამართლის თანმდებელს უნდა იყოს მოსახლეობის მიერ არჩეული (და არა აღმასკომის მიერ არჩეული ანუ დანიშნული, როგორც ახლანა). ამ რეფორმის გატარებაში საქართველოს უზენაესი საბჭო არ უნდა დაელოდოს ანალოგიური რეფორმის გატარებას

სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ (სსრკ-ს სახელმწიფო დამხმარების ფუნქციონირების მეურნეობის იმ პროდუქტებზე, რომლებიც საქართველოსთვის სპეციალური და ამიტომ ხელოვნურად დაწეული ფასები ადევს დღეს (ყურბენი და სხვა).

მ) უნდა შეიქმნას ეროვნული ბანკი, შემოღებულ იქნეს ქართული ფული და სხვა.

გიორგი, უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიები პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი დარგისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სფეროში საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამის პოლიტიკის გატარებას.

მეგობრებო! ნუ დავიწყებთ, რომ საპარლამენტო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მხოლოდ ერთი გზაა და საქართველოს სსრკ უზენაესი საბჭო — საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ერთი, შედარებით სუსტი სახე, რომელიც მომავალში სხვა სახეებში უნდა შეცვალოს. მაგრამ დღეს ეს ჩვენთვის ერთადერთი ოფიციალური პარლამენტია, რომლის ანგარიშგაუქმებლობის უფლება არა აქვს არც ერთ ოფიციალურ ინსტანციას საბჭოთა კავშირში ან მსოფლიოში. დღეს საქართველოს სსრკ უზენაესი საბჭო ჩვენთვის ერთადერთი ოფიციალური იარაღია. საქართველოს დაცვისა, მართალია, ეს იარაღი ისევე სუსტია სუვერენული ქვეყნების თავისუფლოდ არჩეულ პარლამენტებთან შედარებით, როგორც კეტი თანამედროვე იარაღთან შედარებით. მაგრამ სანამ სხვა იარაღი ხელთ არ მოგვცემია, ეს კეტი ხელიდან არ უნდა გავავლოთ.

აქტიურად ვებრძოლოთ 1990 წლის 25 მარტის არჩევნებში გამარჯვებისათვის!

საპარლამენტო სახალხო ფორმები

საზრუნავთი დიდი მეცნიერი ელიზე რეკლიუ ამბობს თავის უკვედა თხზულებაში რუსეთის შესახებ: — „როგორც ჩრდილოეთის მხრივ ხილი კარგად ვერ დამწიფდება, ისე ჩრდილოეთის ცივ ქვეყანაში მყოფი რუსის ხალხის გონება უმნიშვნელო პოლიტიკურად და საეჭვოა ოდესმე დამწიფდესო“. ეს სიბრძნე მეცნიერისა და სახეებით გააძაბოთლა მსოფლიო ომმა და რევოლუციამ.

დაემხო ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი, დამიხსვრა, დაიკოვრა, დანაწილდა... დაეცა და დაიღწეა ისე, რომ მოსი კვლავ აღდგენა და გამთლება შეუძლებელია. გუშინდელი ლაღი ბატონი ველიკორსკი, გუშინდელი მტანჯველი მრავალ განათლებულ ეროვნებათა დღეს უგზო-უკვლოთ დატანტალეს რუსეთის ტილო მინდვრებზე და ცახცახით გაურბის კიბურის ძლევა-მოსილ დროშას.

უკუღმართო რუსეთის დამსხვრევით გაქრა სამუდამოთ ევროპის საფრთხე და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიას. უზენაესმა ტენიკამ და მაღალმა უკულტურამ დალენა სიბნელე და უმეცრება; პატარა ფალავანმა დასცა თიხის ფეხებზე მდგარი უზარმაზარი გოლიათი. აღიგავა ქვეყნის პირიდან ევროპის ჟანდარმი; მოისპო საუკუნოთ უღმბოვლი მტარავლი — აბსოლიუტიზმი. ასი წლოვით გვემუღმა და დამონებულმა ერებმა ამოისუნთქეს თავისუფლება...

მერე და რამ დასცა რუსეთი? რამ დაამხო უუდიდესი იმპერია? იგი დასცეს და დაამხო უმთავრესად შინაურმა და შინაგანმა მტრებმა. ეს მტრებია: თვითმპყრობელობა, რუსის ხალხის უკულტურობა, უმეცრება და მონური სული.

სამხედრო და პროლეტართა რევოლუციის რუსეთში მოყვა საბედისწილი მარცხი. ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდათ მუშა-მხედართა საბჭოებს და წარმოიშვა ორი მთავრობა, ბურჟუაზიასთან ზერულ კავშირი და აქედან წარმომდგარი კოალიციური მთავრობა. გამოდგა სუსტი, მერყევი და უდღეური. მალე გაჩნდნენ და მოეფინნენ რუსეთის სხვადასხვა საბჭოები, კომიტეტები და კომისარიატები. ამათ შემორკეს ხალხი, დაფუშეს ერთიანობა სახელმწიფო მექანიზმი, დამბლა დასცეს საგაჭრო, საფინანსო და სამრეწველო ორგანოებს, მით წარმოშვეს ყველგან სურსათის საარაკო კრიზისი, შიმშილი და უსაზღვრო სიღვირ, ამ სახით დაანგვეს ხალხს შემსუთველ მაღლაფრთა. თავისუფლებით დამთვრალ რევოლუციურ ხალხს სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტები, ხელთ იპყრეს მძიმე საქმე და ინყეს 140 მილიონი ხალხის ბედის ტარება რევოლუციის ოკეანეს მქუხარე ტალღებში, მოიშორეს თავიდან ნიჭიერი, მცოდნე, გამოცდილი და საქმიანი კაცები, რადგან ისინი არ იყვნენ სოციალისტები; ნაცვლად მიუბოძეს საპატიო ადგილები და დიდი ჯამაგირები ნორჩს, გამოუცდელ პროპაგანდისტებს. ამ სახით გაირიყნენ სახელმწიფოს შეგნებული, მონიანე ნოდებანი, სათავეში ჩადგნენ მოუშვადებელი პირნი. დამყარდა ხალდათის და პროლეტარის დიქტატურა (ბატონობა). სახელმწიფომ იწყო ბორძიკი, უკან დახევა და გადინება უფსკრულში... ამრგვათ დიდებულათ დანაყბურე რევოლუცია მალე გარდაიქცა ბუხტით და ანარქიით.

რევოლუციის პირველ ხანებში ხალხის ბელადობა ჰხდებოდა წილათ სოციალდემოკრატ „მენშევიკებს“ და სოციალისტ-რევოლუციონერებს. ამათ მოინადინეს შეურცებელის შერიგება, ბურჟუისა და პროლეტარის ერთ უღელში გაბმა, მათი კავშირი და კოალიცია. მაგრამ სინამდვილემ დაანგრა ოცნება. რევოლუციის რომანტიზმა მალე დაუთმო ადგილი მკაცრ რეალიზმს. დაეცნენ მენშევიკ-ესერები დანიის პრინცის მანიაში გამოხვედრის; მათი ადგილი დაიჭირეს მისიხანე „ბოლშევიკებმა“. და ხელთ იპყრეს მდგარათ რევოლუციის დროშა. ამ მომენტიდან რუსეთის რევოლუციაში დაიწყო მეორე ხანა, ხანა ტერორის, ცეცხლისა და მახვილისა.

„ბოლშევიზმის“ გამარჯვება რუსეთში ადვილი ასახსნელია. დამსუღს და ომით დაქანცულ რუსის ხალხს

სწყუროდა ზავი და მშვიდობა. ეს ზავი და მშვიდობა დაპირდნენ ხალხს ბოლშევიკებმა. თხრილებში დაკუნტული სალდათი ნატრობდა შინ დაბრუნებას, და ამ სალდათს უთხრეს: ნუღარ იბრძვი, ნაიღე თოფი და წადი შინა. გლეხს ეჭირვებოდა მინა; უქადაგეს: ნაართვი მემამულეს მინა და დაისაკუთრეთ; მუშას აუხსნეს: ეს ქარხნები, მადნები და ფაბრიკები შენიაო. ბოგანი ხალხს ამხილეს: ეს სახლები, ბანკები, შაღანიები და ბურჟუების მთელი ქონება თქვენიო, წადით დაეტყვეთ, გაძარცვეთ, მოჰკალით და წაგლეჯით.

ეს ტყბილი სიტყვები მალამოსავით მოხვდა უმეცარ რუსის გულს. ასიათასობით და მილიონობით გაიტაცა ამ ახალმა მოძღვრებამ ბნელი ხალხი. გლეხი, სალდათი, მუშა და ხულიგანი, ყველანი იქცნენ „ბოლშევიკებათ“ და მიუბ-

მამაკვიდრობა

რუსეთის დამხობა და საქართველო

ბაღი

ნიკო ნიკოლაძე თავისი თაობის მოღვაწეებში რუსეთისადმი შედარებით „ლოიალურად“ განწყობილ პიროვნებად ითვლებოდა. ამიტომ ორმაგად უფრო საინტერესოა მისი წერილი, რომლის პირველ ნაწილსაც დღეს გთავაზობთ.

რძეს ბატონობის კვერთხი ლენინისა და ტროცკის. ამათ სერიოზულად განიზრახეს სოციალიზმის გაბატონება. სოციალურ რევოლუციის მოხდენა, სოციალისტურ რესპუბლიკის დამყარება და მაგალითის მიცემა ევროპა-აზიური ქვეყნებისათვის. ამათ მოინადინეს მსოფლიო ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება, ისტორიის ჩარხზე გადახტომა; ის-კუპეს და ჩამოსხრნენ ხრამში...

ბოლშევიზმით გატაცებულმა რუსის ხალხმა მიიღო ჯილდოვანი პრესტიჟი სსრკ-ის სამარცხვინო ზავი, პეტროგრად-მოსკოვის და ოდესა-ნიკოლაევის დაჭერა ნემეცების მიერ, და ბოლოს კიბურის მხედრობა გამოსიერიანებს კიდევ შუაგულ რუსეთში „წესიერების აღსადგენად“. მოჰგლეჯეს რუსეთის თავი, — პეტროგრადი, ამოჰგლეჯნენ მას გულს — მოსკოვს. რუსეთი ამიერიდან მკვდარია. ველიკორსკის ბატონობას მოელო ბოლო... რუსეთი დღეს გარდაიქცა გერმანიის კონგოთ, ნემეცების პოლიტიკურ და ეკონომიურ მონათ... აი, რა ზომამდე მიიყვანა რუსეთი მალაღ ფარდებში ფრენა!

საფრანგეთის რევოლუციითა მაგალითებმა ვერაფერი ასწავლა რუსის რევოლუციონერებს. ამათ ვერ ისარგებლეს წინა რევოლუციების კარგი მხარეებით და მხოლოდ უხეშთ (გაიმორეს) მათი შეცდომანი. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს სრული მოუშვადებლობა რევოლუციის მოსაღწევად და გასაღრმავებლად მათ ვერ გამოიჩინეს ვერაკითარი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

სამშუხაროდ, მტკბად ხანმოკლე აღმოჩნდა რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება. მას უშუქრის ფეხ-ქვეშ გატყენას პრუსიის ოუნკერი; ამის ნიშნებს უკვე გამოჩნევთ.

ახლა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს რუსის ხალხი. ეს ხალხი ჯერ ნორჩია, ბუნებით უნიჭო, პასიური, მონური სულის მქონე. რუსმა არ უწყის, თუ რაა. სამშობლო. რაინდობა და პატრიოტული გრძნობა მისთვის უცხო ხილია. აღმოსავლეთ ევროპის და ციმბირის ტიპილი მინდვრები სძრავენ მასში წანწალის სურვილს, ამიტომ რუსი ბუნებით ბოგანია. მას ძლივს აქვს 1000 წლის ისტორია და აქედან 300-400 წელი მონკვლავთა მონობაში გაატარა. ეს ათი საუკუნე კი მეტად მცირეა, რომ ნახევრად ველური ხალხი გადამიქცეს კულტურულად და შექმნას პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მაღალი ფორმები. ეს ხალხი ჯერ არც კი გამოაჟღერა თეოლოგიურ ეპოქიდან. იგი ჯერ კიდევ სვეტების და წმიდანების პროცესია. 90 პროცენტზე ამ ხალხის მიერ უნდა იქნას ანარქიზმის პრიმიტიულ მეურნეობას. ტენიკა და ინდუსტრია მხოლოდ ახლა იდგამდა ფეხს. სკოლების სიმცირე წერა-კითხვის უცოდინარობა 60 პროცენტის მიერ, განვითარებული ლოთობა და ხულიგნობა, დაქვეითებული ზნეობა, პოლიციის უსაზღვრო თვითნებობა, „როზის“ და მათრახის თავისუფალი ნაგარდობა, — აი ის ბნელი, უმეცარი, ღატაკი და დაბეჩავებული მასა და მისი გარემო, რასაც წარმოადგენდა ამ ბოლო დრომდე რუსის ხალხი!

აი, ამ ბნელ მასას უქადაგებდნენ სოციალიზმს! აი, ამ მასის საშუალებით სურდათ დავარსებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა. „ბოლშევიკებს“ კიდევ სწადდათ დაემყარებიათ სოციალისტური რესპუბლიკა! სასაცილოა, რომ სამშუხარო არ იყოს...


აი, რას ნიშნავს ისტორიის კანონების და ხალხის ფსიქოლოგიის არ ცოდნა! რას ნიშნავს ზერელე თეორიებით, დოგმატიზმით, უტოპიებით და ბროშურებით გატაცება! მონარქიზმის ზარფუშში დახუთულს და მონობის ბოროტლებით დაკუნტულს რუსის უმეცარ ხალხს უქადაგებდნენ ეროვნულ სოციალიზმის სამოთხეს და სთავაზობდნენ სოციალისტურ რესპუბლიკას! ის კი დაავინყდათ ამ მეოცნებე მქადაგებელთ, რომ ჯერ რუსის ხალხმა უნდა განეღობა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური გრძელი ხანა, პარლამენტარიზმი, შემდეგ დემოკრატიული ეპოქა და სხვ. ამისათვის კი საჭიროა მთელი საუკუნოები.

დროა შევიგნოთ, რომ ისტორია ნახტომებს არ აკეთებს და უდიდესი რევოლუციებიც კი ბოლოს ებორჩილებიან ევოლუციის რკინის კანონებს. რა გინდ კარგი იყოს თესლი, იგი არ აღმოცენდება და ნაყოფს არ დაისხამს, თუ ამ თესლს არა აქვს შესაფერად შემზადებული ნიადაგი. რუსის ხალხი კი წარმოადგენს ისეთ კლდოვან, ყაბრ მიწას, რომლის დამუშავებას და შემზადებას სოციალიზმის სათუთ თესლისათვის სჭირდება მთელი საუკუნოები. და თუ დღეს რუსეთს ბატონობენ და პატრონობენ სოციალისტები, თუ დღეს ხალხის 90 პროცენტი აძლევს ხმას და უკან მიჰყვება ამ სოციალისტებს, სწორედ ეს მოვლენა ამტკიცებს ამ ხალხის სრულს უმეცრებას, თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესის შეუგნებლობას. ასეთი ხალხი დღეს სოციალისტია, ხვალ ანარქისტი, ზეგ კი მხეცად ქმნეული ხულიგანი და ისევ ძველი მეფის და პოლიციის თავყვანისმცემელი.

ასეთია რუსის ხალხი. ამ ყაბრმა დაახშო სოციალისტთა ბელადების გულუბრყვილო ქადაგებანი, ბოლშევიზმი გარდიქმნა ხულიგანობით და ანარქიით, დაატყნო რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების ყვავილები, გამარჯვება მიანიჭა თავის დაუძინებელ მტერს — გერმანიას, დაასამარა თავის საკუთარი ბედი და პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება. უნებური მესაფლავნი კი შეიქნენ სოციალისტური პარტიები და განსაკუთრებით „ბოლშევიკები“...

რიტნალი ნიკო ნიკოლაძე.
(გაზ. „საქართველო“, 1918, 23 (4) III, №68)
გაგრძელება იქნება

[illegible]



მერაბ კონსტანს და
წვინად გამსახურდნას

მუხიკის ხმაური, შეშლილი
ქალები,
სინათლეს მოკლებული ცისფერი
თვალები,
ორად გატეხილი ხერხემლის
მალები,
მოტვლებილ თავზე შავი ხალები
მლოცველი ხატებს ემუდარება,
ფარდები ქცეულა თეთრ
სუდარებად.

მომავლა უაზრო თრობა,
სხეულს წისკვილივით ფქვავს,
აღარ დამიბერდა გრძნობა,
ყოველღე მახსენებს თავს.

საკითხავია, სად, რა პირობებში და ვისთან
ერთად შეიმუშავა ბატონმა გუმიბარაძემ ეს

ბიორბი ურდლანაშვილი,
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრა-
ტიული პარტიის წევრი.

განცხადება

ვინაიდან 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიოზე სამართლებრივად დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში;

ვინაიდან ამავე სესიოზე საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა უკანონოდ და ბათილად ცნო საქართველოს სსრ მიერ დადებული ხელშეკრულებანი საბჭოთა რუსეთის პირობებზე;

ვინაიდან საქართველო, როგორც ოკუპირებული სახელმწიფო, იწყებს მოლაპარაკებას სსრკ-თან დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უმჯობესი პარტიის კონსტიტუციური ფრაქცია

ა ც ხ ა დ მ ხ:

1. 1990 წლის 9 მარტიდან საბჭოთა კავშირის იურიდიული საქართველოს ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება და საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში იურიდიული ძალისხმევა დაიკარგა.

2. საქართველოს სსრ, როგორც იურიდიული სუბიექტი, აღარ არსებობს და საქართველოს სსრ კონსტიტუცია ბათილია.

3. საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, საქართველომ დაიმკვიდრა საერთაშორისო სამართალ სუბიექტის სტატუსი (აქამდე საქართველოს ახელი სტატუსი არ გააჩნდა, ვინაიდან სსრკ-ს ტერიტორიაში მთლიანობა მხოლოდ სახელმწიფოებს ცნობილი აქვთ 1988 წლიდან).

4. ხანამ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ნებართვის გარეშე იქნება ერთი ქარისკაცო მანქანა სხვა ქვეყნისა, საქართველო, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, ოკუპაციის პირობებში რჩება.

5. 25 მარტის არჩევნები იურიდიულად წარმოადგენს არა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებს, არამედ საქართველოს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის, თვითმმართველობითი ორგანოს არჩევნებს, რომელმაც დამფუძნებელი კრების მოწვევის სამართლებრივი საფუძვლები უნდა შექმნას.

6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებს, როგორც სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებს, უფლება არა აქვთ დაეშვათ საბჭოთა პოლიტიკური დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

7. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელი კრების მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოში დღეს არსებული ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა.

უზრუნველყვეთ, დავეით მარტანია,
დავეით ზარდიაშვილი, გიორგი ქიქნაძე.

9 მარტი, 1990 წ.

სამხედრო საფლავებზე სამსახური 1989 წლის შემოდგომაზე გასაწვევითავე გავრცელდა „მომართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი“ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთლის და ირაკლი ბათიაშვილის ხელმოწერით. ამ მიმართვაში ნათქვამია შემდეგი: „ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდეს დამცირებასა და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს. ქართველი ადამიანისთვის ყოველ მიუღებელ უნდა იყოს საბჭოთა არმიის სამსახური, იმ არმიის, რომელმაც ათეულობით ბოროტმოქმედება ჩაიდინა საქართველოს მიმართ, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება, რომელმაც განაგრძო ცხრა აპრილის გენოციდი და რომლის ძალითაც და მუქარითაც საქართველო სამოცდაათი წლის განმავლობაში იმყოფება რუსეთის კომუნისტური იმპერიის მოჩირაღებში. მოდის პერიოდი ჩვენი ახალგაზრდობის მორიგი იძულებითი გაწვევისა ოკუპანტთა ჯარებში და დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვია ჩვენი ეროვნული შეგნება, საქართველომ უნდა ახალგაზრდამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილება მიიღოს. უარის თქმა საბჭოთა არმიის სამსახურზე, რაც, ცხადია, საკმაოდ რისიკანა და საგანგებოა, ქვეყნისათვის გიგანტური ღვაწლის დადება საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. ეს ღვაწლი სამუდამოდ ჩაიწერება ჩვენი ერის მესიერებაში, რამეთუ მის გარეშე არ აღსრულდება საქართველოს თა-

გვიან იქნება თითზე კბენანი

ვის უფლება აქვს ამიტომ ჩვენ ვიღებდეთ ვართ განაცხადოთ:

უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდობის გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში!

ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიის სამსახურზე!

ამ დღე წამოწყებაში ჩვენი ორგანიზაციები თავიდან ბოლომდე მხარში ამოუდგებიან ქართველ პატრიოტებს და ყველაფერს იღონებენ მათი წმიდითაწმიდა უფლებების დასაცავად.

მიმართვას სამხედრო-საფლავებზე გაწვევის დასაწყისიდანვე შეუერთდა წვევამდელთა გარკვეული ჯგუფი, რომელმაც 11 ოქტომბერს საპროტესტო აქცია გაფიცვის სახით დაიწყო. გაფიცულთა საბოლოო რიცხვმა 1200-ს გადააჭარბა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იყო გარკვეული ნაწილი გაფიცულებისა, რომლებმაც ბოლო მომენტში უარი განაცხადეს გაფიცვაზე და შეწყვიტეს აქციაში მონაწილეობის მიღება (სწორედ ესენი შეადგენენ დღესათვის ქარიდან გამოქცეულთა უმრავლესობას. ქ. ლ.).

პოლიტიკურმა ოპოზიციურმა პარტიებმა თავიანთი სიტყვა პირნათლად შეასრულეს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატზე, ბოლომდე მხარში ედგნენ და კვლავაც მათთან არიან, ვინც უარს ამბობს საოკუპანტო ჯარებში სამსახურზე, რის შედეგადაც შემოდგომის გასაწვევითა-

ვითომ გ. კანტურიას „დაცვა“ განუზრახავს, მაგრამ მთელი წერილი მხოლოდ ჩემს ლანძღვას და ერთობ გაუგებარს „პოლიტიკურ ანალიზს“ ეთმობა. მათზე ყურადღებას არც შევაჩერებ მაგრამ იმის ნათელსაყოფად, თუ რაინ არიან გ. კანტურიას „დამცველები“, ორივე სიტყვა დ. მჭედლურზე მოგახსენებთ. და მაინც „ვირი“ რა „შუამთაბო“, — იკითხავს ალბათ, გაკვირებული მკითხველი.

„ხულო, შე ურჩო სახელო, რა ხანია შენზე ხსენებან.“

ეს სტრიქონები დ. მჭედლურს ეკუთვნის. მას, რატომღაც, პოეტობის საკმაოდ მოზრდილი პრეტენზია გააჩნია და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი სოლიდური გამომცემლობის მთავარი რედაქტორის სავარძელშიც ზის.

„ხულო, შე ურჩო სახელო, მგლისთვის მაინც არ მეშინება.“

კვლავ იმეორებს დ. მჭედლური და, ალბათ, ჰგონია, რაკი საკუთარი სული აღეგორიულად ვირის სახით წარმოადგინა, ამით დიდი პატივი დასდო თავის თავს, ძვირფასო მკითხველო! თავისუფლებისათვის სულიერი სწრაფვის სიმბოლოდ ჩვენში კარგა ხანია მერანს დამკვიდრდა. ბარათაშვილის მღელვარე სულისკვეთებაც მას დღე-კავშირად... დ. მჭედლურის ხელში კი მერანს სახედრად გადაიქცა. ვირის მისამართით, აბა, ამაზე უკეთეს სტრიქონებს ვინ გაიმეტებს:

„მაგრამ დროდარო ატროკდები,

მაგ საპაღნეს დაბლა მოიხვრი“.

თავის „ლირიკული სახედრის“ მსგავსად დ. მჭედლურსაც, როგორც სხანს, „ატროკდები“ გადაუწყვეტია, მაგრამ უმედოდ... ამ არამეტივე ქომავალს უნდა შევასწავლო, რომ ხმა იმ შემთხვევაში უნდა აიმაღლოს, თუკი ვინმეს უსაფუძვლოდ გააკრიტიკებენ. საკითხავია, მაშინ რატომ ვაჩუმდა, კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი“ რომ დაიბეჭდა და ამის გამო გამომცემლობის რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს? უფრო მეტიც: დ. მჭედლურმა არა თუ დაიცვა ვინმე, არამედ თავად სიამოვნებით დაიკავა უსამართლოდ გაძევებული მთავარი რედაქტორის თანამდებობა და დღემდე სხვის ნაცვლად „მთავარრედაქტორობს“.

ახლა კვლავ მკითხველს მივმართავ: ხომ დაინახეთ, ვინ არიან გ. კანტურია და მისი „დამცველები“? ღირს კი ასეთ ხალხთან კამათი? იქნებ აღარც ღირდეს, მაგრამ მათი მხილება ნამდვილად საქიროა. დარწმუნებული ვარ, ისინი კვლავაც არ დაიშურებენ ლაფსა და ტალახს მაგრამ მე ეს არ მაშინებს. „მეარაო“ — ხალხის სახელით ბრძანებს ი. ფავლენიშვილი. არა, ბატონო! როგორც სხანს, არ „მეარაო“! ჩემი გაჩუმებაც არც ისე თაღლითურად დაუჭერეთ!

რედაქციისაზრან: რედაქციაში შემოსული მკითხველი საზოგადოებრიობის წერილების გათვალისწინებით ამ პუბლიკაციით ვამთავრებთ პოლემიკას — კონკრეტულად ამ პოლემიკას, რაც იმას არ ნიშნავს, რომ რუბრიკა — სიტყვა — ყველას — კვლავაც არ იარსებებს ჩვენს გაზეთში.

მოხდა სხვადასხვა ნაწილებიდან თავმოყრა ქართველების და სომხების. ეს იმეტრად, რომ გულდაუთქვა ყველაზე ნაკლებად არის დასახლებული ქართველებითა და მათგან მხარდაჭერა ვეღარ გვექმნებოდა.

ამჟამად ვიმყოფებით გზაში, ქ. კურსკში. საბოლოოდ ადგილსამყოფელად გვპირდებიან ბელორუსიას, რაშიც დარწმუნებული არ ვართ.

ამავე წერილში მივმართავთ ყველას, ვისაც ახლა უპირებენ გაწვევას და პირდებიან საქართველოში დაბრუნებას; არ დაიჭვონ, ჩვენსავე მოატყუებენ!

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა შემოდგომის გაწვევაზე. უმეტესობა, ვინც დაიმედებული იყო, რომ საქართველოში იმსახურებდა, წავიდა ქარში.

ამ და მრავალი ასეთი არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე დაბრუნება ხელისუფლების მხრიდან რჩება დაბრუნებად. ამიტომ აუცილებელია მოხდეს გაფიცვა, უარის თქმა, სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გამოუცხადებლობა, თორემ შემდგომ საკუთარი თავი თავადვე აღარ გეკუთვნის და როგორც უნდათ, სიითაც სურთ, იქით გიკრავენ თავს. მერე კი ღმერთმა უწყის, ცოცხალი დაბრუნდები თუ ისე, როგორც არა ერთი და ორი...

აუცილებელია დასკვნები ახლავთ გაეკეთოთ, სანამ გვიან არ არის თითვე კბენანი! საზოგადოებას ვაცნობებთ, 1990 წელს უკვე 15 ქარისკაცია ჩამოსვენებული.

კობა ლურსმანაშვილი

რუსლან მიქაბერიძე

დადგა გარდაქმნის ფინალი, ხულაც არ გასაკვირველი, ნიკოლოზ მეორის ტახტზე ადინ მიხეილ პირველი.

რამდენიცაინციაგი სოციალ-დემოკრატიზმი

სოციალ-დემოკრატია სატანას ღვიძლი, მვილია,

იმისი, ვინც წიწამურთან ტყვიით განგმირა ილია.

ახალი როლი არგუნეს სპექტაკლში სათამაშოში, სოციალ-დემოკრატის, ჩასახულს ცეკას საშოში.

ეს კომპარტია, ხომ ვიცით,

მარქსის-ლენინის ნაყოფი, რა დღეშიც არის ქვეყანა დღემდე მის გამო ნამყოფი, ახლა იფიქრეთ, რას იზამს, იმისი გამონაყოფი.

ეს მუჩაიძის ნამყენი ლენინის ლემის ბაზაზე, ანუ სოც-დემოკრატია ჩვენს პოლიტიკურ ბაზარზე, ის არის, რაც გუშინ ვკამეთ, ოღონდ დღეს ბროლის ვაზაზე.

კომპარტია რომ დაიწმუნდა, ველარაფერი დაბანდა, სუკს დაუწვა და ერთ ღამეს სოც-დემოკრატია დაბანდა.

საჭიროზე მეტი გაჩნდა პარტიები, გაცილებით, იწამლება საქართველო, მოლიდერო ბაცილებით.